EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის (YRC) წესდება

1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესდება განსაზღვრავს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - „**უნივერსიტეტი**“) ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის (შემდგომში - „**კლუბი**“) უფლებამოსილებებს, მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებს.
2. ახალგაზრდა მკვლევართა სტუდენტური კლუბი წარმოადგენს საერთო სასწავლო-სამეცნიერო ინტერესის/მიზნების ირგვლივ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის ფაკულტეტის ბაზაზე სტუდენტთა შორის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ორგანიზების/გაუმჯობესების მიზნით.
3. კლუბი იქმნება და ფუნქციონირებს წინამდებარე წესდებით დადგენილი წესების დაცვით.
4. კლუბს აქვს საკუთარი ლოგო, საკონტაქტო ელ-ფოსტა და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებსაიტზე საკუთარი გვერდი.
5. კლუბის შექმნის/რეგისტრაციისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლუბების მხარდაჭერისა და განვითარების საბჭო.
6. კლუბი ანგარიშვალდებულია კლუბების მხარდაჭერისა და განვითარების საბჭოს წინაშე.
7. კლუბი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბის დებულებით, წინამდებარე წესდებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

2. კლუბის მიზნები და ამოცანები

1. **კლუბის მიზანია:**

   ა) სწავლების ყველა (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი და დოქტორანტურის) საფეხურის სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ჩართულობით ფაკულტეტზე შეიქმნას ერთიანი პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში მეცნიერების პოპულარიზაციას, სტუდენტების სამეცნიერო აქტივობების (კვლევების, საკონფერენციო მოხსენებების, სტატიების და სხვ.) განხორციელებაში, დებატებში ჩართულობას, მათთვის საინტერესო საკითხების სიღრმისეულ განხილვაში.

   ბ) ხელი შეუწყოს ახალი სამეცნიერო კვლევების წარმოებას შესაბამის ფაკულტეტზე პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების შესაბამისად (მედიცინა, განათლება, სამართალი, არქიტექტურა, ფსიქოლოგია და სხვა)

3. კლუბის ფუნქციები და ამოცანები:

   ა) სამეცნიერო ღონისძიებების გამართვა (კონფერენციები, სემინარები, საჯარო მოხსენებები, მასტერ-კლასები), რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის წევრებს შესაძლებლობა ექნებათ, საჯაროდ წარმოადგინონ თავიანთი კვლევების შედეგები, დახვეწონ თავიანთი მეცნიერული უნარ-ჩვევები და აწარმოონ დისკუსია მეცნიერების აქტუალური პრობლემების შესახებ.

   ბ) კვლევითი სამუშაოების განხორციელება (კვლევითი პროექტები და ა.შ.) და კვლევის შედეგების საზოგადოებაში გავრცელება;

გ) სტუდენტთა შორის ურთიერთობების განვითარება, კლუბის წევრებს შორის გუნდური მუშაობის სულისკვეთების შექმნა და გაძლიერება;

დ) უცხოურ თუ ადგილობრივ მსგავს სტუდენტურ ორგანიზაციებთან, კლუბებთან მჭიდრო კავშირი/კომუნიკაცია საკლუბო დონეზე;

ე) სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სკოლის მოსწავლეების ჩართულობის ხელშეწყობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში;

3. კლუბის სტრუქტურა და ადმინისტრირება

1. კლუბს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელიც ანგარიშვალდებულია კლუბების მხარდაჭერისა და განვითარების საბჭოს წინაშე.
2. კლუბის თანამდებობები და სტრუქტურული ერთეულები
   ა) პრეზიდენტი;
   ბ) კლუბის წევრი;
   ბ) კლუბის მენტორი;
3. კლუბის პრეზიდენტის უფლებები:
   ა) ხელმძღვანელობს კლუბის საქმიანობას და პასუხისმგებელია კლუბის საქმიანობის ხარისხიან წარმართვაზე;
   ბ) პასუხისმგებელია კლუბის ცნობადობის გაზრდაზე;
   გ) ხელს უწყობს კლუბში იდეების გენერირებას და კლუბის ქმედითუნარიანობას;
   დ) ახორციელებს წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
4. კლუბის პრეზიდენტს მოეხსნება უფლებამოსილება:
   ა) წინამდებარე წესდებისა და სტუდენტური კლუბის დებულების დარღვევის შემთხვევაში;
   ბ) კლუბის წევრებზე ზეწოლის მოხდენის შემთხვევაში;
   გ) შეხვედრების 30%-ის არასაპატიოდ გაცდენის შემთხვევაში;
   დ) ეთიკის ნორმებისა და შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში;
5. კლუბის პრეზიდენტის არჩევა ხდება 2 წლის ვადით, კლუბის წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლეოსობით (https://electionbuddy.com/ ელექტრონულად ხმის მიცემის ანონიმური პლატფორმის გამოყენებით).
6. კლუბის მენტორი არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, ან ელიტ კლუბის წევრი, რომელიც ჩართულია კლუბის საქმიანობაში ეხმარება სტუდენტებს კვლევითი პროექტების მომზადებაში, აძლევს მათ საშუალებას წარადგინონ კვლევითი პროექტი ნებისმიერ ეტაპზე და მიიღონ უკუკავშირი. ასევე ახორციელებს ტრენინგებს და ზრუნავს კლუბის წევრებში განავითაროს პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარები.
7. სამეცნიერო კლუბების შეკრებათა განრიგი და დღის წესრიგი განისაზღვრება წინასწარი სამუშაო გეგმით.

4. კლუბის წევრობა

1. კლუბის წევრი შეუძლია გახდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების, მოტივირებული საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი და სადოქტორო პროგრამის ნებისმიერი სტუდენტი ან კურსდამთავრებული, ვისაც

აინტერესებს სამეცნიერო კვლევები და სურს გაიღრმავოს ცოდნა ამ მიმართულებით და ვისაც ერთხელ მაინც წარდგენილი აქვს ნაშრომი სამეცნიერო კონფერენციაზე ან გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია;

2. კლუბის წევრების რაოდენობა არ უნდა იყოს 5 წევრზე ნაკლები;
3. კლუბში გაწევრიანებისთვის საჭიროა მსურველმა პირმა შეავსოს ,,კლუბში გაწევრიანების ელექტრონული აპლიკაცია'' (იხ. ბმულზე: https://www.surveymonkey.com/r/RWT3XTN)
5. კლუბში გაწევრიანების და კლუბიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს კლუბი, სრული შემადგენლობის უმრავლესობით;
6. კლუბის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

   ა) წინამდებარე წესდების, სტუდენტური კლუბის დებულების, კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერებისა და შინაგანაწესის უხეში დარღვევა;

   ბ) 6 თვის განმავლობაში სამეცნიერო სფეროში არანაყოფიერი საქმიანობა;

   გ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

   დ) პირადი განცხადება

   ე) შეხვედრების 50%-ის არასაპატიოდ გაცდენა;
7. კლუბის წევრის უფლებები:

   ა) მონაწილეობა მიიღოს კლუბის საერთო საქმიანობაში;

   ბ) შესაძლებლობების ფარგლებში ისარგებლოს კლუბის სარგებლობაში არსებული ინფორმაციით და ტექნიკური საშუალებებით
8. კლუბის წევრის ვალდებულებები:

   ა) დაიცვას კლუბის წესდება, კლუბის დებულება და წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

   ბ) დაიცვას ეთიკის ნორმები და დაემორჩილოს შინაგანაწესს;

   გ) აქტიურად მონაწილეობდეს კლუბის მუშაობაში (მათ შორის, შეხვედრებზე დასწრება, პრეზენტაციების მომზადება და დისკუსიაში ჩართულობა და სხვა);

5. კლუბის უფლებამოსილება

1. კლუბი უფლებამოსილია:

   ა) განსაზღვროს კლუბის მუშაობის დღის წესრიგი და გაუწიოს ორგანიზება;

   ბ) განახორციელოს კლუბის პროფილიდან გამომდინარე თემატური ღონისძიებები;

   გ) ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით 10 სამუშაო დღით ადრე მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტური კლუბის მხარდაჭერისა და განვითარების საბჭოს;

   დ) განახორციელოს ერთობლივი სამეცნიერო პროექტები მსგავსი პროფილის სხვა კლუბთან ერთად;

   ე) შეარჩიოს მოხსენებები, პროექტები კონფერენციაზე თუ საგრანტო კონკურსზე გასატანად;

   ვ) ორგანიზება გაუწიოს სტუდენტთა დისკუსიებს სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით.

   ზ) მოისმინოს კლუბის წევრთა სამეცნიერო მოხსენებები;

   თ) საბჭოსთან შეთანხმებით მოიწვიოს გარეშე პირი საჯარო ლექციის, ტრენინგის ჩატარების მიზნით;

ი) კონკურსის გზით შეარჩიოს კლუბის ახალი წევრები და ყოველსემესტრულად წარუდგინოს ინფორმაცია საბჭოს;

კ) კლუბის მიერ განხორციელებულ აქტივობებში ჩართოს კურსდამთავრებულები, სტუდენტები.

ლ) საბჭოს წარუდგინოს კლუბის მუშაობის შესახებ წლიური ანგარიში;

მ) დაიცვას და განახორციელოს წინამდებარე წესდებით, სტუდენტური კლუბის დებულებით განსაზღვრული კლუბის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები.

6. კლუბის უფლებამოსილების შეჩერება/გაუქმება

a. კლუბის რეგისტრაციას/გაუქმებას ახდენს საბჭო, დამფუძნებელთა მიერ ამ დებულებით განსაზღვრული წესით შევსებული მიმართვის საფუძველზე ან იმ შემთხვევაში, თუ კლუბმა დაარღვია საკუთარ უფლებამოსილებები, ან უკანასკნელი სემესტრის განმავლობაში კლუბს აქვს დაბალი რეიტინგი (0-10). კლუბის გაუქმების ნაცვლად შეიძლება საბჭომ განიხილოს მმართველი რგოლის შეცვლის საკითხი.

b. სტუდენტური კლუბის საქმიანობის დებულებით დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია კლუბისათვის საქმიანობის უფლების შეჩერება ერთიდან ექვს თვემდე ვადით;

7. დასკვნითი დებულებები

1. წესდებაში შესწორების შეტანას და წესდების შეცვლის საკითხს კლუბის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე განიხილავს კლუბების მხარდაჭერისა და განვითარების საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს. და გუნდის წევრებს, საბჭოს თანხმობის საფუძველზე.
2. წესდების დამტკიცებას, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტის დებულების, სტუდენტური კლუბის დებულების და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
3. წესდება ამოქმედდეს მისი დამტკიცებისთანავე.